ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ოქტომბერი

Kingdom of the Netherlands

პუბლიკაცია მომზადებულულია პროექტის „ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

ავტორები:

ნინო ელბაქიძე*

თინათინ ნადარეიშვილი**

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ სახელით

რეცენზენტი:

კორნელი კაკაჩია

თარგმანი:

ანა გეგეჭკორი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ შიდა პროექტის ფარგლებში „ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების ავტორების მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მათ ეკუთვნით და არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

სოციალური პარტნიორობა მთავრობის მხარდაჭერის გარეშე

პოლიტიკის დოკუმენტი

რეზიუმე

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერას და დასაქმების პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში მხარეების მონაწილეობას, როგორც პრიორიტეტს შრომის პოლიტიკის განვითარებაში.[1] საქართველოს მთავრობის მოქმედებები მიმართული უნდა იყოს მისი სოციალური პარტნიორების გაძლიერებასა და სოციალური პარტნიორობის განვითარებაზე, მათ შორის ყველა სხვა დაინტერესებული მხარის მხარდაჭერის გზით.[2] 2014 წელს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ იკისრა პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებაზე ევროკავშირის თითქმის 300 სამართლებრივ აქტთან. ასოცირების შესახებ შეთანხმება მოიცავს დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანასწორი შესაძლებლობების[3] სფეროებს და ასახავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს ვაჭრობის და მდგრადი განვითარების სფეროებში.[4]

ქართული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზების და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობამ 2013 წელს ცვლილებები შეიტანა შრომის კოდექსში, რითაც უზრუნველყო სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შექმნის საფუძველი. აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიმართულებით გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს. ამგვარი პოზიტიური დასაწყისის მიუხედავად, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია არ აღმოჩნდა ქმედითი. კომისიის დებულების თანახმად, სამმხრივი კომისია უნდა შეიკრიბოს ყოველკვარტალურად.[5] თუმცა შექმნის დღიდან, ანუ 2013 წლიდან, კომისია მხოლოდ ორჯერ შეიკრიბა.[6] რადგან საქართველოს პარლამენტმა სოციალური პარტნიორებისგან დასტური უნდა მიიღოს კანონმდებლობაში ცვლილებების ბოლომდე მისაყვანად, კომისიის სუსტი მუშაობა აფერხებს შრომის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.[7]

* ნინო ელბაქიძე „კონსტიტუციის 42-ე მუხლის” აღმასრულებელი დირექტორი და თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის თანათავმდომარეა. მან 2003 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალში მაგისტრის ხარისხით, ხოლო 2006 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი გახდა.

** თინათინ ნადარეიშვილი „კონსტიტუციის 42-ე მუხლის” ადვოკატირების ჯგუფის კოორდინატორია. მას აქვს სამართლის მაგისტრის ხარისხი ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო საჯარო სამართალში რიგის უმაღლესი სამართლის სკოლიდან. იგი ასევე ფლობს მაგისტრის ხარისხს შპაიერის უნივერსიტეტის სახელწიფო მართვის პროგრამიდან.

შესავალი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, შრომისა და დასაქმების სფეროში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს სოციალურ პარტნიორობას და თანამშრომლობას ღირსეული სამუშაო პირობების, დასაქმების პოლიტიკის, სოციალური ჩართულობის და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის მიზნით. ყველაფერმა ამან ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ ინტეგრაციას, მდგრად განვითარებას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.[8] საქართველოს პარლამენტმა შრომის კოდექსის ცვლილებები 2013 წელს დაამტკიცა. კანონმდებლობის ერთ-ერთ ძირითად გაუმჯობესებას წარმოადგენდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შექმნა. საქართველოს შრომის კოდექსის აღნიშნულმა ცვლილებამ საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი სოციალური პარტნიორებისთვის, შექმნა მექანიზმი ქვეყანაში შრომის პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესზე ზეგავლენის მოსახდენად. საქართველოს შრომის კოდქსის IV[1] კარი ეძღვნება სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიას. საქართველოს მთავობამ 2013 წლის 7 ოქტომბერს დაამტკიცა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულება, რომლითაც დადგენილი იქნა კომისიის ძირითადი საქმიანობა და მუშაობის პრინციპები.[9] კომისიის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სოციალური პარტნიორობის და დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობა ქვეყნის ყველა დონეზე და წინადადებებისა და შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებში სხვადასხვა საკითხზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

2014 წლის 12 მარტს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა დადგენილება, რომლითაც დაამტკიცა კომისიის წევრები.[10] აღნიშნული დადგენილების თანახმად, კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია დახმარებას უნდა უწევდეს კომისიის მუშაობას. კომისიის წევრები არიან: პრემიერ-მინისტრი (თავმჯდომარე) და შემდეგი ხუთი სამინისტროს წარმომადგენლები: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (თავმჯდომარის მოადგილე), იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. გარდა ამისა, კომისიაში შედის დაქირავებულთა და დამქირავებელთა ექვს-ექვსი წარმომადგენელი. კომისიის წევრები არჩეულნი არიან ერთი წლის ვადით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 მარტის დადგენილებით, კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მისი სამდივნოს ფუნქციები გადაეცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.[11] ეს პოზიტიური მოვლენა იყო, თუმცა კომისიის ეფექტიანობა კვლავ გასაუმჯობესებელია. მაშინ, როცა კომისია კვარტალში ერთხელ უნდა შეიკრიბოს,[12] შექმნის დღიდან 2016 წლის სექტემბრამდე, იგი მხოლოდ ორჯერ შეიკრიბა და აქედან ერთი სხდომა მას შემდეგ გაიმართა, რაც პასუხისმგებლობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეცა.[13] სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი რამდენჯერმე შეიკრიბა. ჯერჯერობით კომისიას არ მიუღია და არ განუხორციელებია რაიმე გადაწყვეტილება.

ანალიზი

კომისიის ასეთ პასიურობას რაიმე ოფიციალური მიზეზი არ გააჩნია. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, კომისიის წევრები ვერ უთავსებენ კომისიის მუშაობას თავიანთ დატვირთულ სამუშაო განრიგებს. კომისიის მხოლოდ მეორე სხდომა (რომელიც 2016 წლის 11 აპრილს გაიმართა) მიეძღვნა შრომის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, თუმცა სხდომაზე არ ყოფილა მიღებული რაიმე გადაწყვეტილება.[14]

2016 წლის 11 აპრილს ჩატარებული მეორე სხდომის შემდეგ კომისიამ დაამტკიცა სამუშაო სტრატეგია.[15] სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება სოციალური პარტნიორებისა და გარეშე ექსპერტებისგან, ამზადებს კომისიისთვის ისეთ თემებს, როგორიც არის 2016-2017 წლების სამუშაო გეგმის შედგენა. სამუშაო გეგმა უნდა შეიცავდეს საქართველოს შრომის კოდექსის გაუმჯობესების, შრომის ინსპექციის, მედიაციის ინსტიტუტის, მინიმალური ხელფასის, განათლებისა და ინვესტირების საკითხებს.[16] თუმცა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემდგომი სხდომების ზუსტი თარიღები კვლავაც უცნობია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კომისია, მისი სტრატეგიის მიხედვით, რეგულარულად იკრიბებოდეს, რათა შესაძლებელი გახდეს შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესება სოციალური პარტნიორების ჩართულობის გზით.

სოციალური პარტნიორობის სამმხრივმა კომისიამ უნდა დაამტკიცოს მედიატორთა რეესტრი,[17] კოლექტიური შრომითი დავების გადაჭრის მნიშვნელოვანი კომპონენტი. მედიატორები წარმოადგენენ დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებსაც აქვთ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმართვის სათანადო ცოდნა და გამოცდილება და რომლებიც უნდა იყვნენ მიუკერძოებელნი. 2016 წლის სექტემბრისთვის რეესტრი არ იყო დამტკიცებული და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამასთან დაკავშირებით არც რაიმე ოფიციალური განმარტება მოუცია.[18]

მედიაციის ინსტიტუტის ეფექტიანობა კითხვის ქვეშ დგას. 2016 წლის დასაწყისში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ვერ მოახერხა მედიატორების ჩართვა ტყიბულის მაღაროელთა ფართო გაფიცვაში,[19] მიუხედავად აშკარა საჭიროებისა. მოგვიანებით შრომით დავაში, რომელშიც მონაწილეობდნენ რკინიგზის მშენებლობის პროექტის მუშები სოფელ ზვარეში, სამინისტრომ სასწაფოდ დანიშნა მედიატორი, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის რესურსები ძალიან მწირი იყო.[20] მოლაპარაკებები ჩაიშალა, ხოლო მუშები 2016 წლის 19 სექტემბერს გაიფიცნენ.[21]

შრომითი დავების გადაჭრაში მედიაციის გამოყენების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული საკანონმდებლო რეგულირებაზე და სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდაჭერაზე. ბოლო პერიოდის შემთხვევებმა დაგვანახა, რომ მთავრობა მინიმალურ როლს თამაშობს შრომითი დავების მოგვარებაში. ამის მიზეზს ნაწილობრივ წარმოადგენს სოციალური პარტნიორობის ჩამოუყალიბებელი მდგომარეობა ქვეყანაში და კომისიის პასიურობა.

მთავრობის აქტიურობა აღნიშნულ პროცესში უმნიშვნელოვანესია. საკითხის მრავალმხრივობა საჭიროებს საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების და დონორი ორგანიზაციების აუცილებელ ჩართულობას. მნიშვნელოვანია კანონმდებლობის გაუმჯობესება და არსებული ვალდებულებების შესრულება. აუცილებელია სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან მისი ჰარმონიზაცია, რათა მისი გადაწყვეტილების დანერგვა ეფექტიანად განხორციელდეს. სამწუხაროდ, მოცემულ საკითხზე მომუშავე დამოუკიდებელი ექსპერტების და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა მინიმალურია და არც სავალდებულოა მთავრობისთვის.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს ჩამოყალიბდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია, დიალოგი სოციალურ პარტნიორებს შორის ამ საკონსულტაციო ორგანოს მეშვეობით არ მიმდინარეობს. ორი ჩატარებული სხდომა - ერთი გაცნობითი, ხოლო მეორე ძალიან ფართო დისკუსია - წარმოადგენს ნელ და არასაკმარის მიდგომას შრომის პოლიტიკის რეფორმის მიმართ. საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ უნდა განახორციელოს კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებები და ჩაერთოს სოციალურ დიალოგში იმისათვის, რომ კოლექტიური შრომითი დავების მოგვარება ხდებოდეს მედიაციის დახმარებით და გაუმჯობესდეს სამუშაო პირობები.

მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის გაუმჯობესება და ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ვინაიდან ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური პარნტიორობის სამმხრივი კომისია, იგი უფრო ეფექტიანი უნდა გახდეს. და თუმცა მთავრობის მოქმედებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, საკითხის კომპლექსურობა მოითხოვს თანამშრომლობას საქართველოს მთავრობას, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და დონორებს შორის. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში.

რეკომენდაციები

• საქართველოს მთავრობამ უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მუშაობაში გადაუდებელ შრომით საკითხებთან დაკავშირებული დისკუსიების ხელშეწყობის გზით;

• სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მუშაობა უფრო დეტალური პროცედურებით უნდა რეგულირდებოდეს. თითოეულ წევრ სამინისტროს უნდა მოეთხოვებოდეს ყოველკვარტალურ შეხვედრებზე ძირითად შრომით საკითხებთან დაკავშირებული საკუთარი აზრის წერილობით წარდგენა. დებულებები უნდა დაზუსტდეს, ხოლო საკონსულტაციო ორგანოს მუშაობის სტრუქტურა უფრო პროგნოზირებადი გახდეს;

• დისკუსიებში მუდამ უნდა მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და მათ უნდა ჰქონდეთ სათათბირო ხმის უფლება სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის მოსამზადებელ დისკუსიებში;

• 2017-2019 წლების ასოცირების დღის წესრიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ეფექტიანი საქმიანობის საკითხი და საქართველოს მთავრობის ვალდებულება, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალურ დისკუსიებში;

• ასოცირების დღის წესრიგის განსახორციელებელ 2017 წლის სამოქმედო გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს იმ საკითხების დეტალური ჩამონათვალი, რომლებიც უნდა განიხილოს სოციალური პარტნიორობის სამმხრივმა კომისიამ, და ამ საკითხების განხორციელებისთვის აუცილებელი ქმედებები.

[1] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის; მე-14 თავი, მუხლი 348. შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

[2] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის; მე-14 თავი, მუხლი 349 (ზ). შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)&from=EN

[3] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის; მე-14 თავი: „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანასწორი შესაძლებლობები".

[4] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის; მე-15 თავი: „ვაჭრობა და მდგრადი განვითარება".

[5] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №258 „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ", მუხლი 6, შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://gov.ge/files/276_38491_313895_25871013.pdf.

[6] სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის ვიდეოჩანაწერი, შეგიძლიათ იხილოთ პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: http://irakligaribashvili.ge/?p=3648 (I სხდომა). მეორე სხდომა გაიმართა 11 აპრილს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=29&info_id=2688. bolo naxva: 2016 wlis 04 seqtemberi.

[7] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №258 „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ", შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://gov.ge/files/276_38491_313895_25871013.pdf

[8] იხ. სქოლიო 1.

[9] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №258 „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ", მუხლი 6, შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://gov.ge/files/276_38491_313895_25871013.pdf

[10] 2014 წლის 12 მარტის დადგენილება №55, თბილისი, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ; შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://gov.ge/files/383_41199_801983_55.pdf

[11] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 მარტის დადგენილება №122 „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №258 დადგენილება ცვლილების შეტანის თაობაზე". შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://gov.ge/files/439_54661_648933_122.pdf.

[12] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №258 „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ", მუხლი 6, შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://gov.ge/files/276_38491_313895_25871013.pdf.

[13] სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის ვიდეოჩანაწერი, შეგიძლიათ იხილოთ პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: http://irakligaribashvili.ge/?p=3648. მეორე სხდომა გაიმართა 11 აპრილს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=29&info_id=2688. ბოლო ნახვა: 2016 წლის 04 სექტემბერი.

[14] შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე მხოლოდ ქართულ ენაზე: http://jandacva.ge/jandacvis-saministroshi-socialuri-partniorobis-sammkhrivi-komisia-gaimarta/

[15] სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მეორე სხდომა გაიმართა 11 აპრილს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=29&info_id=2688.

[16] იხ. სქოლიო 14.

[17] საქართველოს მთავრობის დადგენილება „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.2 შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091854#DOCUMENT:1. ბოლო ნახვა: 2016 წლის 04 სექტემბერი.

[18] იხ. სქოლიო 14.

[19] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/17767 არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლს“, დათარიღებული 2016 წლის 07 მარტით.

[20] შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=29&info_id=2781. ბოლო ნახვა: 2016 წლის 04 სექტემბერი.

[21] „ხარაგაულში სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებული მუშები გაიფიცნენ“. შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე მხოლოდ ქართულ ენაზე: http://netgazeti.ge/news/141969/. ბოლო ნახვა: 2016 წლის 22 სექტემბერი.